საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №25/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 11 მარტის №25 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 19 მარტის №97/25-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 5 მაისის №25/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილებით შეეფარდა 5 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა. დადგენილება მოსამართლემ გამოაცხადა 21 ნოემბერს, რომლის სარეზოლუციო ნაწილი მხარეებს იმავე დღეს გადასცა, თუმცა იმავე დღეს არ ჩაბარებიათ დასაბუთებული დადგენილება. 22 ნოემბერს მხარის მიერ მომზადდა საჩივარი, რომელიც სასამართლოს ჩაბარდა იმავე დღეს, თუმცა საქმე აპელაციაში არ გადაიგზავნა 25 ნოემბრამდე. ვინაიდან, ადმინისტრაციული პატიმრობა მხარეს შეფარდებული ჰქონდა მხოლოდ 5 დღით 25 ნოემბერს საქმის გაგზავნით პრაქტიკულად წაერთვა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2019 წლის 19 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის -- -- სამმართველოდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- დეპარტამენტიდან წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის თაობაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ნოემბრის საოქმო დადგენილებით ერთ წარმოებად გაერთიანდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები №--, №--, №--, №--, №--, №--და გაერთიანებულ საქმეებს მიენიჭათ №--.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით -- -- ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და სახდელის ზომად განესაზღვროს ადმინისტრაციული პატიმრობა 5 დღე-ღამით; -- -- ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყო ადმინისტრაციული დაკავების (№--) ოქმში მითითებული 2019 წლის 18 ნოემბრის 19:25 საათიდან და ჩაეთვალა ერთი სრული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი 4 დღის ვადის ათვლა დაეწყო დადგენილების გამოცხადების შემდგომ მისი დაკავების მომენტიდან.

საქმეში წარმოდგენილი ხელწერილების თანახმად, დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი მხარეებს ჩაბარდათ 2019 წლის 21 ნოემბერს. -- -- სასამართლოს დადგენილება -- -- , -- -- და -- -- გაასაჩივრეს 2019 წლის 21 ნოემბერს, ხოლო -- --, -- -- 2019 წლის 22 ნოემბერს 10:15 საათზე.

საქმის განაწილების დოკუმენტის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მასალები -- სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2019 წლის 25 ნოემბერს და განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით -- --, -- --, -- -- და -- -- საჩივრები -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 5 მაისის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 11 მარტის №25 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი ასევე ადგენს დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ-აბსტრაქტულ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და

სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Golder c. Royaume-Uni, 21 février 1975, §28-36, série A no 18).

სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby *v.* Greece, §40). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, §33; Martinie v. France [GC], §39).

მაშასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებასაც. გასაჩივრების უფლების რეალიზებისთვის აუცილებელია მხარეს ჩაბარდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება/განჩინება, რათა დაიცვას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება.[2]

გასაჩივრების უფლებაზე მსჯელობის დროს მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება ან გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება. დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება აგრეთვე დაზარალებულს მისივე თხოვნით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა. ამავე კოდექსის 281[1] მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება გამოტანიდან 48 საათში შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს პირმა, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, ან მისმა ადვოკატმა (კანონიერმა წარმომადგენელმა), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა ორგანომ (თანამდებობის პირმა) სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

[2] იქვე II-8

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაზე 22 ნოემბერს წარდგენილი საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 25 ნოემბერს.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ 23 და 24 ნოემბერი ემთხვეოდა შაბათ-კვირას რა დროსაც საქმეთა გაგზავნა ზემდგომ ინსტანციაში შეჩერებულია. მიუხედავად იმისა, რომ საქმე, ზემდგომ ინსტანციაში ადმინისტრაციული პატიმრობის ამოწურვის დღეს გადაიგზავნა, სააპელაციო სასამართლომ -- -- საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო დაუშვებლად ცნო. ამდენად, ამ მიმართებით არ იკვეთება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწ-ყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რვა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო ორმა წევრმა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებადა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევას დაუჭირა მხარი.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №25/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი